ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

„ქართული უნივერსიტეტი ერთსა და იმავე დროს სამეცნიერო კვლევა-ძიებისა და ცდის დაწესებულებაც უნდა იყოს და უმაღლესი სამეცნიერო სასწავლებელიც, სადაც მეცნიერების შესწავლა და სამეცნიერო მუშაობის მეთოდებისა და პრაქტიკის შეთავსება შესაძლებელი იქნება“

ივანე ჯავახიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი აქტიურად ნერგავს თანამედროვე დასავლური უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის მიღწევებს. ფაკულტეტი შედგება 7 სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებისგან, სადაც სტუდენტებს სთავაზობს შემდეგ საბაკალავრო პროგრამებს:

- **პოლიტიკის მეცნიერება** (major, minor)
- **ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია** (major, minor)
- **საერთაშორისო ურთიერთობები** (major)
- **საზოგადოებრივი გეოგრაფია** (major, minor)
- **სოციალური მუშაობა** (major, minor)
- **სოციოლოგია** (major, minor)
- **ფსიქოლოგია** (major, minor)
- **გენდერის კვლევები** (minor)

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების გარდა, ყველა მიმართულება სწავლების ძირითადი სპეციალობასთან (major -120 კრედიტი) ერთად, ასევე გთავაზობთ სწავლების დამატებით (minor – 60 კრედიტი) სპეციალობებს, რომელთა კომბინირებაც, თქვენს სურვილზეა დამოკიდებული. გარდა ჩამოთვლილი სპეციალობებისა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ასევე გთავაზობთ დამატებით სპეციალობას გენდერის კვლევებში (minor – 60 კრედიტი).

ბაკალავტრის ხარისხი და საკრედიტო სისტემა

საბაკალავრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ფაკულტეტის კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის ხარისხი (Bacalaurus Artium) შესაბამის დარგში.

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი. სტუდენტს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისაღებად საჭირო კრედიტების შესრულება შეუძლია: ძირითადი სპეციალობის (major – 120 კრედიტი), დამატებითი სპეციალობის (minor – 60 კრედიტი) და თავისუფალი კრედიტების (თავისუფალი – 60 კრედიტი) ერთობლიობით, ან მხოლოდ ძირითადი სპეციალობისა (major) და თავისუფალი კრედიტების ერთობლიობით. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტს ევალება საფაკულტეტო მოთხოვნების შესრულება და საბაზისო-საფაკულტეტო სასწავლო კურსების აღება 35-40 კრედიტის ოდენობით, რაც ხორციელდება თავისუფალი კრედიტების ხარჯზე.

საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვა

საბაკალავრო პროგრამის ფორმატის დაგეგმვა სტუდენტის პრეროგატივაა და მას თავისუფალი არჩევანის უფლება აქვს. გამონაკლისს წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამები, რომელზეც ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ხორციელდება. სპეციალობის შეცვლა, ამ პროგრამებზე ჩარიცხულთათვის, ისევე როგორც ამ პროგრამებზე გადასვლის მსურველთათვის მხოლოდ მობილობის წესით არის შესაძლებელი. საზოგადოებრივი გეოგრაფიის, სოციოლოგიის, სოციალური მუშაობის, ფსიქოლოგიისა და პოლიტიკის მეცნიერების სტუდენტებს მობილობის გარეშე შეუძლიათ აღნიშნულ პროგრამებს შორის მოძრაობა. ფაკულტეტებსა და უნივერსიტეტებს შორის მოძრაობა და სპეციალობის შეცვლა კი სწავლის პერიოდში ხორცილდება შიდა და გარე მობილობის სისტემის საშუალებით.

დამატებითი სპეციალობისა და თავისუფალი კრედიტების არჩევა დასაშვებია როგორც ძირითადი ფაკულტეტის, ასევე თსუ სხვა ფაკულტეტების საბაკალავრო პროგრამებიდან. (იურიდიულის და სამედიცინოს გარდა).

საბაკალავრო სწავლების სამდონიანი სისტემა

ბაკალავრიატი გულისხმობს სწავლების სამ დონეს:

პირველი დონე - მოიცავს საფაკულტეტო საბაზისო სწავლებას.

მეორე დონე - საბაკალავრო პროგრამების სავალდებულო და არჩევით კურსებს, რომლებიც ორიენტირებულია მეთოდოლოგიური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

მესამე დონე - გულისხმობს საბაკალავრო პროგრამების სპეციალიზაციის მოდულს. ამავე დონეზე ხდება საბაკალავრო ნაშრომის მომზადება.

• • •

საბაზისო-საფაკულტეტო სწავლება მოიცავს 35-40 კრედიტს და შედგება:

ა) სავალდებულო სასწავლო კურსებისაგან (20კრედიტი):

1. შესავალი სოციალური კვლევის მეთოდებში – 5 კრედიტი
2. სტატისტიკა I – 5 კრედიტი
3. ინგლისური ენა (I და II) -10 კრედიტი

ბ) სავალდებულო/არჩევითი კურსებისაგან, რომელთაგან 4 შესავალი კურსი, სტუდენტმა ორი სემესტრის განმავლობაში უნდა გაიაროს:

- ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის შესავალი - 5 კრედიტი
- შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში - 5 კრედიტი
- შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში - 5 კრედიტი;
- საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი - 5 კრედიტი;
- სოციოლოგიის შესავალი - 5 კრედიტი;
- სოციალური მუშაობის შესავალი - 5 კრედიტი;
- ფსიქოლოგიის შესავალი - 5 კრედიტი.

შენიშვნა: აღებული 4 სავალდებულო კურსიდან ერთი გავლილი შესავალი კურსი სტუდენტს ეთვლება მის მიერ არჩეული შესაბამისი ძირითადი სპეციალობის 120 კრედიტში, ხოლო მეორე გავლილი შესავალი კურსი კი, დამატებითი სპეციალობის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროგრამებიდან აღების შემთხვევაში, მის მიერ არჩეული შესაბამისი დამატებითი სპეციალობის 60 კრედიტში.

გ) არჩევითი სასწავლო კურსებისგან (25 კრედიტი), რომელთაგან სავალდებულოა ერთი (5 კრედიტი) კურსის აღება (რამდენიმეს არჩევაც შეუძლია სტუდენტს და ამ შემთხვევაში ეს საგნები მას, ჩაეთვლება თავისუფალ კრედიტებად).

- აკადემიური წერა – 5 კრედიტი
- ლოგიკა – 5 კრედიტი
- გამოყენებითი ეკონომიკა – 5 კრედიტი
- ანთროპოლოგია – 5 კრედიტი
- კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა - 5 კრედიტი (იკითხება მხოლოდ საგაზაფხულო სემესტრში)

• • •

საბაზისო სწავლების თავისუფალი კრედიტები სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და სხვა ფაკულტეტების საბაკალავრო პროგრამებიდან. I დონის სწავლების ყველა სავალდებულო, სავალდებულო-არჩევითი და არჩევითი კურსი სემესტრულია და იკითხება როგორც საშემოდგომო, ისე საგაზაფხულო სემესტრის განმავლობაში.

უცხო ენის სწავლება

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სპეციალობების საჭიროებებიდან გამომდინარე, სავალდებულოა ინგლისური ენის შესწავლა და 10 კრედიტის დაგროვება. გამონაკლისია საერთაშორისო ურთიერთობებისა და საზოგა-დოებრივი გეოგრაფიის მიმართულებები, სადაც ინგლისურ ენაში სავალდებულოა 30 კრედიტის შესრულება. საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტებს დამატებით ასევე ევალებათ 20 კრედიტის მოცულობით მეორე უცხო ენის გავლაც. ინგლისურ ენასთან ერთად, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია მეორე უცხო ენის არჩევაც, რაც ჩაეთვლება თავისუფალ კრედიტებში.

ასევე, ფაკულტეტი სტუდენტებს ინგლისური ენის სავალდებულო

ათკრედიტიანი სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სთავაზობს ინგლისური ენის სპეციალიზებული კურსს 5-10 კრედიტის მოცულობით.

ინგლისური ენის სავალდებულო 10 კრედიტიანი სწავლების ვალდებულებისგან თავისუფლდებიან ის სტუდენტები, რომლებიც წარმოადგენენ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ შემდეგ სერტიფიკატებს (CEFR B2; IELTS exam-5; BEC exam and CELS exam – Vantage; Cambridge exam FCE; Pritman ESOL International; TOEIC-541; TOEFL (500 – paper based; 173-computer based; 61- internet based)).

ხშირად დასმული კითხვები:

რას ნიშნავს ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია?

ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს ყოველი სემესტრის დასაწყისში სწავლის საფასურის გადახდას (რესპუბლიკა ბანკი, თიბისი ბანკი, ლიბერთი ბანკი), ხოლო აკადემიური რეგისტრაცია თსუ-ის ბაზაში (www.sms.tsu.ge) სასწავლო დისციპლინების არჩევას.

რამდენი კრედიტის აღების უფლება აქვს სტუდენტს ყოველ სემესტრში?

სასწავლო წლის განმავლობაში ბაკალავრიატის სტუდენტს აქვს 65 კრედიტის აღების უფლება. (თითოეულ სემესტრში 30 ან 35 კრედიტი). ასევე, VIII დამამთავრებელ სემესტრში სტუდენტს აქვს უფლება აიღოს 40 კრედიტი, თუ მას ამ დროისთვის უკვე დაგროვილი აქვს 200 კრედიტი. გაითვალისწინეთ, რომ სახელმწიფო გრანტი მოქმედებს მხოლოდ რვა სემესტრის განმავლობაში. სტუდენტი, რომელიც რვა სემესტრის განმავლობაში ვერ დააგროვებს 240 კრედიტს და არ შეასრულებს საფაკულტეტო და პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, იძულებული ხდება დარჩენილი კრედიტების დასაგროვებლად თვითდაფინანსების საფუძველზე აიღოს დამატებითი სემესტრი.

შეიძლება თუ არა ერთი და იგივე სავალდებულო საგნის ხელმეორედ არჩევა კრედიტის შეუსრებლობის შემთხვევაში?

შესაძლებელია ერთი და იგივე სავალდებულო საგნის სამჯერ არჩევა, მაგრამ მესამედ კრედიტის შეუსრულებლობის შემთხვევაში მას უწყდება სტუდენტის სტატუსი.

სად შეიძლება სტუდენტმა მიიღოს ინფორმაცია საბაკალავრო პროგრამების შესახებ?

ფაკულტეტზე მოქმედებს ტუტორების, ანუ აკადემიური მრჩევლების ინსტიტუტი. თითოეულ მიმართულებაზე თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ ტუტორს და მასთან გაიაროთ კონსულტაცია. გარდა ამისა, ფაკულტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ყველა პროგრამის აღწერილობა და მიმართულებების სასწავლო განრიგი (ცხრილი).

• • •

საბაკალავრო პროგრამების შესახებ, მიმართულებების მიხედვით, შეგიძლიათ მიმართოთ:

პოლიტიკის მეცნიერება – თსუ IV კორპ., ოთახი №301, ელენე გელაშვილი, ნათია დათიაშვილი
ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია – თსუ VI კორპ., ოთახი №206, ანა ზაქარაია, ნინო ქუფარაშვილი, ნაირა მახაშვილი
საერთაშორისო ურთიერთობები – თსუ IV კორპ., ოთახი №202, თეა ხუნდაძე, თამარ ქარსაულიძე
საზოგადოებრივი გეოგრაფია – თსუ IV კორპ., ოთახი №211, ლუიზა აბაზაძე, მაია ჟღენტი
სოციალური მუშაობა – თსუ IV კორპ., ოთახი №306, თამარ ლაღიძე
სოციოლოგია – თსუ IV კორპ., ოთახი №306, თამარ გოგორიშვილი
ფსიქოლოგია – III კორპ., ოთახი №101, ნინო ბერაძე, თამარ ხიდაშელი, თამარ შუბითიძე

ჩვენი თხოვნა: პირად ბარათში მითითებული ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში ერთი თვის ვადაში აცნობეთ ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს (VI კორპუსი, ოთახი № 207).

გისურვებთ წარმატებას!

საკონტაქტო ინფორმაცია:
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
თსუ VI კორპუსი
ჭავჭავაძის გამზირი № 8
0179 თბილისი
ტელ.: (+995 32) 225 17 35
ფაქსი: (+995 32) 229 05 94
http://www.tsu.edu.ge/ge/faculties/social/news/
https://www.facebook.com/groups/TSU.SOCPOL/

მიმართულებები:
პოლიტიკის მეცნიერება- 2 22 11 01(254)
ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია - 2221101 (234)
საერთაშორისო ურთიერთობები - 229 03 66
საზოგადოებრივი გეოგრაფია - 222 11 01(261)
სოციალური მუშაობა - 225 08 19
სოციოლოგია - 225 08 19
ფსიქოლოგია - 222 44 69

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სტუდენტის გზამკვლევი

2013-2014
სასწავლო წელი